2012

პროფესიული უნარების ტესტი II

ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება, განვითარებისა და სწავლის თეორიები, პროფესიული გარემო.

ტესტში ოთხი ტიპის დავალებაა:

(1) **არჩევითპასუხიან დავალებებს** ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან *სწორია მხოლოდ ერთი.* დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) **შესაბამისობის დავალება** ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) **დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** თქვენგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) **დავალებები ღია დაბოლოებით** თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

** თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით.



ღია დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი; ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

<u>**პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.**</u>

დავალება №1

საშინაო დავალება სასწავლო პროცესის არსებითი ნაწილია. იგი არა მხოლოდ ცოდნის შეძენასა და გამყარებას უწყობს ხელს, არამედ ისეთ უმნიშვნელოვანეს უნარებსაც ავითარებს მოსწავლეებში, როგორიცაა დამოუკიდებლად სწავლა, კვლევა-ძიება და ა.შ.

ერთმანეთისაგან პირობითად განასხვავებენ საშინაო დავალების სამ ძირითად ფორმას: პრაქტიკულ, მოსამზადებელ და გაღრმავების დავალებას.

აღწერილთაგან რომელი წარმოადგენს **პრაქტიკული** დავალების ნიმუშს?

ა) ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს უთხრა, რომ შემდეგი გაკვეთილის თემა იქნება „ძუძუმწოვრები“ და მომდევნო შეხვედრისთვის ხუთი ძუძუმწოვრის შესახებ ინფორმაციის მოძიება დაავალა.

ბ) ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს ეპოქის შესახებ ისტორიული ცნობების მოძიება და მწერლის შემოქმედებაზე მისი გავლენის გაანალიზება.

გ) შრომის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებს ქარგვა ასწავლა, შემდეგ რამდენიმე საცდელი ნიმუში შეასრულებინა და მოახლოებული დედის დღისათვის ცხვირსახოცზე ინიციალების ამოქარგვა დაავალა.

დ) ხატვის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა კომპოზიციის მიხედვით ნატურმორტის დახატვა იმისათვის, რომ მომდევნო გაკვეთილზე განეხილა მათი ნამუშევრები და აეხსნა ნატურმორტის დახატვის ძირითადი პრინციპები.

დავალება №2

სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები საინტერესო და სახალისო იყოს მოსწავლისათვის. ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა/პირობები აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას?

I. აქტივობა უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

II. აქტივობა სხვა აქტივობებისაგან უნდა განსხვავდებოდეს და სიახლის ელემენტებს შეიცავდეს.

III. აქტივობა უნდა იყოს აღვილი და დიდ ძალისხმევას არ მოითხოვდეს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ I და III

დ) მხოლოდ III

დავალება №3

გაკვეთილზე მასწავლებელმა დასვა შეკითხვა. მოსწავლემ არასწორად უპასუხა იმის გამო, რომ კარგად არ ესმის საკითხის არსი.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ადეკვატური რეაგირება ასეთ შემთხვევაში?

ა) აღნიშნოს, რომ პასუხი არასწორია, გაამარტივოს შეკითხვა ან გარკვეული მინიშნებებით მიიყვანოს მოსწავლე სწორ პასუხამდე.
ბ) აღნიშნოს, რომ პასუხი არასწორია და იმავე შეკითხვით მიმართოს სხვა მოსწავლეს.
გ) აღნიშნოს, რომ პასუხი არასწორია და გააკრიტიკოს მოსწავლე ამგვარი პასუხისათვის.
დ) არასწორი პასუხის შესაბამისად შეაფასოს მოსწავლე და კლასში სხვა შეკითხვა დასვას.

დავალება №4

სკოლის შეცვლას ხშირად ახლავს მოსწავლის ერთგვარი შფოთვა, თანაკლასელებისაგან გაუცხოების შიში და ეჭვი, შეეგუება თუ არა ახალ გარემოს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის *ყველაზე ეფექტიანი* ქმედება მოსწავლის ახალ გარემოსთან ადაპტაციისათვის?

ა) მასწავლებელმა უნდა წარუდგინოს კლასს ახალი მოსწავლე და ხაზგასმით აღნიშნოს მისი წარმატებები იმ სკოლაში, რომელშიც მანამდე სწავლობდა.
ბ) მასწავლებელმა კომენტარის გარეშე უნდა წარუდგინოს კლასს მოსწავლე, არ ჩაერიოს ბავშვების ურთიერთობაში. ამას ისინი თავადაც მოახერხებენ.
გ) მასწავლებელი წინასწარ უნდა გაესაუბროს ახალ მოსწავლეს და მისცეს მას მითითებები კლასის წინაშე საკუთარი თავის წარსადგენად.
დ) მასწავლებელმა უნდა წარუდგინოს კლასს ახალი მოსწავლე და სთხოვოს თანაკლასელებს, გაუწიონ მას მეგზურობა, დაათვალიერებინონ სკოლა.

დავალება №5

მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეთა პრეზენტაციები და გამოუცხადა მათ მიღებული ქულები. რამდენიმე მოსწავლე უკმაყოფილო დარჩა შეფასებით. მაშინ პედაგოგმა მოსწავლეებს შეფასების სქემა გააცნო და განუმარტა, რომ მათ პრეზენტაციას აკლდა თვალსაჩინოება, რაც სქემაში ერთ–ერთ კრიტერიუმად ჰქონდა შეტანილი.

შეფასების რომელი პრინციპი **არ გაითვალისწინა** მასწავლებელმა შეფასების სქემის შემუშავებისას?

ა) ვალიდობა
ბ) სანდოობა
გ) ობიექტურობა
დ) გამჭვირვალობა

დავალება №6

სხვა რესურსებს შორის საგანმანათლებლო რესურსად მოიაზრება სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებიც. ეს რესურსი ეფექტიანად შეიძლება იყოს გამოყენებული *მოსწავლეთა სწავლის და სწავლების* ხელშესაწყობად.

ჩამოთვლილთაგან რომელია საზოგადოების სკოლასთან ურთიერთობის *საგანმანათლებლო რესურსად გამოყენების ყველაზე ეფექტიანი* მაგალითი?

ა) სკოლის მოსწავლეების ძალებით გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა ჯგუფებმაც.
ბ) ხელოვნების გაკვეთილებში ჩაერთვნენ ხალხური რეწვის ოსტატები, რომლებმაც მოსწავლეებს შეასწავლეს თექის დამუშავების ტექნოლოგია.
გ) ფიზიკის მასწავლებლის მოწვევით რაიონის მკვიდრმა ცნობილმა მეცნიერმა მოსწავლეებს ჩაუტარა საინტერესო ლექცია.
დ) მოსწავლეების ინიციატივით რაიონის ხელმძღვანელობასთან მოეწყო პრესკონ-ფერენცია, რომლის მასალები დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთში.

დავალება №7

მეტაკოგნიცია გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი აზროვნების პროცესის შეფასებას, სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობებია *ყველაზე ეფექტიანი* მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად?

I. მაგალითის ამოხსნისას მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ ამოხსნის სამი ხერხიდან ერთ-ერთი და ახსნან, რაში ხედავენ მის უპირატესობას.

II. მასწავლებელი სამკუთხედების ტოლობის ნიშნების ახსნისას თვალსაჩინოების გამოყენებით განუმარტავს მოსწავლეებს, რა განაპირობებს სამკუთხედების ტოლობას.

III. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაახარისხონ ინფორმაცია რომბისა და კვადრატის შესახებ, დაადგინონ მათ შორის მსგავსება-განსხვავება და შეავსონ ცხრილი.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

დავალება №8

გეოგრაფიის მასწავლებელმა კლასს განახორციელებინა სასწავლო პროექტი „ჩვენი რეგიონი“. მოსწავლეები მუშაობდნენ მთელი თვის განმავლობაში. ერთ ჯგუფს უნდა შეექმნა რეგიონის ეკონომიკური რუკა, მეორეს – ფიზიკური რუკა, მესამე ჯგუფს უნდა გამოეკვლია რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა. პროექტის დასრულების შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა გააკეთა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. მასწავლებელმა შეაფასა მოსწავლეები და თითოეულ ჯგუფს მისცა შესაბამისი რეკომენდაციები პროექტის შემდგომი სრულყოფისათვის.

შეფასების რომელი ტიპი გამოიყენა მასწავლებელმა:

ა) მიმდინარე განმსაზღვრელი

ბ) მიმდინარე განმავითარებელი

გ) შემაჯამებელი განმსაზღვრელი

დ) შემაჯამებელი განმავითარებელი

დავალება №9

მასწავლებელმა შენიშნა, რომ მისი მოსწავლეები დისკუსიის დროს ერთმანეთს საუბარს აწყვეტინებენ. მას სურს, აღმოფხვრას მოსწავლეთა ეს ქცევა და ამ მიზნით გადაწყვიტა სპეციალური წესების შემუშავება. მასწავლებელმა კარგად იცის ქცევის წესების ფორმულირების პრინციპები და მათ დაცვას ამჯერადაც ცდილობს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან წესის რომელი ფორმულირება შეიძლება მივიჩნიოთ *ყველაზე მიზანშეწონილად*?

ა) „სხვისი აზრის უპატივცემულობა ცუდი საქციელია."
ბ) „არ შევაწყვეტინოთ ერთმანეთს ლაპარაკი, მოვუსმინოთ ბოლომდე."
გ) „ყურადღებით მოვუსმინოთ ერთმანეთს, ვაცალოთ აზრის ბოლომდე გამოთქმა."
დ) „დაუშვებელია საკუთარი აზრის გამოთქმა, ვიდრე თანაკლასელის აზრს არ მოისმენ."

დავალება №10

რამდენიმე მასწავლებელი სამასწავლებლოში კრიტიკული აზროვნების საკითხზე საუბრობს. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამ უნარის განვითარება მოსწავლეებში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მათი შეხედულებები მიზნის მიღწევის გზებზე არსებითად განსხვავდება.

ქვემოთ მოცემულია მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები **კრიტიკული აზროვნების განვითარების** ხელშემწყობ **ეფექტიან** სტრატეგიებთან დაკავშირებით. რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მათგან აღეკვატური?

I. „მოსწავლეებს მეტი დამოუკიდებლობა უნდა მივანიჭოთ. ამ გზით ბავშვები საკუთარ განვითარებაზე, სწავლაზე პასუხისმგებლობას იგრძნობენ და უფრო მეტად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. ეს ხელს შეუწყობს მათი შემეცნებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას."

II. „შევუქმნათ ბავშვებს ზომიერად სტრესული პირობები. მაგალითად, მე ჩემს გაკვეთილებზე საკლასო დავალებების შესრულებისას ხშირად ვატარებ შეჯიბრს სისწრაფეში. ეს ააქტიურებს ბავშვებს, მათ სააზროვნო პროცესებს და ბიძგს აძლევს კრიტიკულ აზროვნებას."

III. „მოსწავლეები უნდა წავახალისოთ განსხვავებული თვალსაზრისების გამოთქმისათვის. პოზიტიური უკუკავშირი ამაღლებს მოსწავლეთა თვითშეფასებას, მეტ სითამამეს ანიჭებს მათ და ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის."

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

დავალება №11

სასწავლო წლის ბოლოს ქიმიის მასწავლებელმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული შეფასების სქემა და შევსებული ფორმები დაურიგა თითოეულ მოსწავლეს.

შეფასების ფორმის ნიმუში:

მოსწავლის სახელი: *თეონა მენთეშაშვილი*
კლასი: *IX°*

მისაღწევი შედეგი	არსებული მდგომარეობა
აყალიბებს კვლევის მიზანს	–
არჩევს შესაბამის ალეგორიულობას წდისთვის	+
ატარებს წდას და გამოაქვს დასკვნები	–

მოსწავლეთა **აკადემიური წინსვლისა** და **მათი სწავლის მოტივაციის** ხელშეწყობისათვის წარმოდგენილი შეფასების ფორმა:

ა) **ადეკვატურია.** მასში მკაფიოდ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ყველა მნიშვნელოვანი და არსებითი კრიტერიუმი.

ბ) **არაადეკვატურია.** შეფასების ამგვარი ფორმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა შედეგებს შორის სხვაობას, რაც კლასში არაჯანსაღ ურთიერთობებს აყალიბებს.

გ) **ადეკვატურია.** სხვადასხვა დროს ამგვარი ფორმით მიღებული შეფასების შედეგების შედარება უადვილებს მოსწავლეს საკუთარი პროგრესის კონტროლს.

დ) **არაადეკვატურია.** ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაცია მწირია. შეფასებაში არ ჩანს სისუსტეების გამომწვევი მიზეზები და გაუმჯობესების შესაძლო გზები.

დავალება №12

მშობლებთან მასწავლებლის ეფექტიანი კომუნიკაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისადმი, ზრდის ნდობის ხარისხს პედაგოგის მიმართ და მშობელთა ჩართულობას. ამ კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორმა პირისპირ საუბარია.

ჩამოთვლილთაგან რომელია **ყველაზე ნაკლებად** გასათვალისწინებელი რჩევა მშობელთან პირისპირ საუბრის დროს?

ა) მშობელთან საუბრის დროს თავი აარიდეთ მოსწავლის მიღწევებისა და ქცევის ზოგად დახასიათებას. მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.

ბ) დაუთმეთ მშობელს დრო და კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის რჩევა მასაც ჰკითხეთ.

გ) იმისათვის, რომ თქვენს საუბარს მეტი დამაჯერებლობა შესძინოთ, გამოიყენეთ პედაგოგიური ტერმინები და ცნობილი მეცნიერების ციტატები.

დ) პრობლემის გამწვავების შემთხვევაშიც კი ნუ გააკეთებთ აქცენტს მშობლის პასუხისმგებლობაზე, ნუ დაადანაშაულებთ მას.

დავალება №13

პრეზენტაცია სააზროვნო უნარებთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებას, ამიტომაც გამოიყენება ის ყველა საგნის სწავლებისას. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი თავად იყოს კარგი პრეზენტატორის მოდელი და, ამასთან, მისცეს მოსწავლეებს პრეზენტაციისათვის საჭირო რჩევები.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი რჩევა/რჩევები უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ პრეზენტაციის დროს?

I. დასაწყისში პრეზენტატორმა მსმენელებს უნდა გააცნოს პრეზენტაციის მიზანი და ძირითადი საკითხები.

II. პრეზენტაცია უნდა იყოს კარგად სტრუქტურირებული, გამოკვეთილი შესავლით, ძირითადი ნაწილითა და დასკვნით.

III. პრეზენტაცია უნდა იყოს ამომწურავი და სრული, რათა არ აღუძრას კითხვა მსმენელებს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

დავალება №14

ბუნების მასწავლებელმა კლასის ერთდღიან ლაშქრობაზე წაყვანა გადაწყვიტა. მან შესთავაზა მოსწავლეებს, თავად დაეგეგმათ ლაშქრობა, კლასი რამდენიმე ჯგუფად დაყო და შემდეგი მითითებები მისცა:

- *საქართველოს რუკის გამოყენებით შეარჩიეთ ლაშქრობის მარშრუტი.*
- *რუკაზე მითითებული მასშტაბის გამოყენებით გამოთვალეთ გასავლელი მანძილი.*
- *გამოთვალეთ, რა დრო დასჭირდება ამ მანძილის გავლას, თუ ლაშქრობის მონანილეთა საშუალო სიჩქარე 3 კმ/სთ–ია.*

დავალების შესრულების შემდეგ თითოეულ ჯგუფს უნდა წარმოედგინა ნამუშევარი და ერთობლივი განხილვის შედეგად მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

სწავლების ამგვარი სტრატეგია მასწავლებელს ეხმარება:

I. დაადგინოს კლასის საგნით დაინტერესების დონე და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

II. ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.

III. შეაფასოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური წვლილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №15

გიორგი IX კლასის მოსწავლეა. ის აქტიურია და მონდომებული, მაგრამ ქიმიას არ სწავლობს, რადგან მიაჩნია, რომ რთული და მოსაწყენი საგანია.

მასწავლებელმა მიზნად დაისახა გიორგის **შინაგანი მოტივაციის** ამაღლება. ჩამოთვლილთაგან რომელია მისი ადეკვატური ქმედება ამ მიზნის მისაღწევად?

ა) შესთავაზოს გიორგის შედარებით ადვილი დავალებები.

ბ) ჩაატაროს სადემონსტრაციო ცდები გიორგის დახმარებით.

გ) განსაკუთრებით შეაქოს გიორგი სწორი პასუხისათვის.

დ) გაკვეთილის მიმდინარეობისას ხშირად მიმართოს გიორგის შეკითხვებით.

დავალება №16

სასწავლო პროცესი მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მოსწავლეს შეუძლია ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამას ცოდნის ტრანსფერს უწოდებენ.

წარმოდგენილი მაგალითებიდან რომელია **ნაკლებად ეფექტიანი** ცოდნის ტრანსფერის ხელშესაწყობად?

ა) მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს ტექსტში მოეძებნათ შესწავლილი მხატვრული ხერხები (ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები და ა.შ.) და ჩაეწერათ წინასწარ გამზადებულ ცხრილში.

ბ) მასწავლებელმა ასწავლა მოსწავლეებს მგზავრობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ენობრივი კონსტრუქციები და მათი გამოყენებით გაათამაშებინა დიალოგი ავტობუსში.

გ) ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, შეედარებინათ ფაქტების მხატვრული ინტერპრეტაცია შესაბამისი ისტორიული წყაროებისთვის.

დ) მასწავლებელმა მისცა მოსწავლეებს სიტუაციური ამოცანა: მოსწავლეებს უნდა მოეძებნათ შესწავლილ ნაწარმოებში წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის გზა თანამედროვე ეპოქის კონტექსტში.

დავალება №17

საკლასო გარემოში ხშირია შემთხვევები, როცა კონფლიქტური სიტუაციები იქმნება ღირებულებებისა და შეხედულებების მიმართ მოსწავლეთა განსხვავებული დამოკიდებულებების გამო.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიებია *ყველაზე ეფექტიანი* კლასში ღირებულებათა კონფლიქტის მოსაგვარებლად?

I. მასწავლებელი უნდა გაერკვეს მოსწავლეთა ღირებულებებში და თავშეკავებით აუხსნას, რა არის მისაღები და რა – მიუღებელი მათ შეხედულებებში.

II. მასწავლებელმა სიტუაციური ამოცანების, ცხოვრებისეული მაგალითების ანალიზის საფუძველზე უნდა შექმნას სადისკუსიო გარემო.

III. მასწავლებელმა ხშირად უნდა გამოიყენოს ღირებულებით პრობლემებზე ორიენტირებული ფილმები, სპექტაკლები და სხვა მხატვრული ნაწარმოები.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

დავალება №18

წაკითხულის გააზრებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტექსტის წაკითხვამდე მისი შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა სათაურის, ილუსტრაციების, ძირითადი ცნებების მიხედვით. სწორედ ვარაუდების გამოთქმაზეა აგებული მეთოდი *ტექსტის პაუზებით კითხვა.* ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული, სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო -პოპულარული ტექსტის კითხვისას (მაგალითად, რაიმე მოვლენის/ექსპერიმენტის აღწერისას მოსწავლეებმა შეიძლება გამოთქვან ჰიპოთეზები მისი მიმდინარეობის შესახებ).

ჩამოთვლილთაგან ***ყველაზე მეტად*** რომელი რჩევის გათვალისწინება შეუწყობს ხელს პაუზებით კითხვის მეთოდის ეფექტიან გამოყენებას?

ა) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ძალიან მოკლე, მარტივი, ნაცნობი ლექსიკით და არ უნდა შეიცავდეს უცნობ ტერმინებს.
ბ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ვრცელი, რათა იძლეოდეს შინაარსობრივად დასრულებულ ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობას.
გ) წასაკითხი ტექსტი უცნობი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის და პირობითად იმგვარად დაყოფილი, რომ აღძრავდეს მათში ცნობისმოყვარეობას.
დ) წასაკითხი ტექსტი უნდა იყოს ნაცნობი, რომ მოსწავლეებს არ გაუჩნდეთ შეცდომის დაშვების შიში და არ დაკარგონ ვარაუდების გამოთქმის სურვილი.

დავალება №19

ხშირად მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ სკოლაში ქცევის წესებსა და ე.წ. საკლასო რუტინას. საკლასო რუტინაში გაწერილია ყოველდღიური სასწავლო ქმედებების მართვის პროცედურები.

საკლასო რუტინის შემუშავება და მისი მოსწავლეებისათვის გაცნობა ეხმარება მასწავლებელს:

ა) განსაზღვროს, რა სახის პრობლემებმა შეიძლება იჩინოს თავი კლასის მართვის დროს და შესაბამისად დაგეგმოს მომდევნო გაკვეთილი.
ბ) მნიშვნელოვნად შეამციროს კლასში პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობა და მოაწესრიგოს სწავლების პროცესი.
გ) აღეკვატურად შეაფასოს თითოეული მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილზე და შეურჩიოს შესაბამისი აქტივობები.
დ) ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება.

დავალება №20

პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლების განსხვავებული მეთოდებია ცნობილი. ცხრილის A სვეტში მოცემულია ამ მეთოდთა აღწერა, ხოლო B სვეტში – მათი დასახელება. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

დასაშვებია, რომ B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს A სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.

მეთოდის აღწერა (A)	მეთოდის დასახელება (B)
I. მასწავლებელი სვამს პრობლემურ შეკითხვებს, განიხილავს გამონაკლისებს და მარტივ იდეას ეჭვქვეშ აყენებს. იგი მოსწავლეებს ინფორმაციას პირდაპირ კი არ აწვდის, არამედ ხელს უწყობს მათ საკითხის გააზრებაში, რათა დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემა.	ა) სოციალური სწავლება ბ) სოკრატული მეთოდი გ) კეთებით სწავლება დ) დიდაქტიკური მეთოდი
II. გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის ცხადი და ნათელი. პედაგოგს მოჰყავს მაგალითები, ამყარებს კავშირებს უკვე ნასწავლ და ახალ ცნებებს შორის, რითაც ეხმარება მოსწავლეებს ახალი მასალის ათვისებაში.	
III. პედაგოგი გეგმავს ექსპერიმენტს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს ექსპერიმენტის შედეგების შესახებ, მიჰყვებიან ექსპერიმენტის სქემას, იცავენ მის ეტაპებს და აკეთებენ დასკვნას.	

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

(*<u>შენიშვნა: პირველი აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში</u>*)

✍*ჩაწერეთ:*

მეთოდის აღწერა (A)	I	II	III
მეთოდის დასახელება (B)	ბ		

დავალება №21

მაქსიმალური ქულა – 4

სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი, საინტერესო და უფრო შედეგიანი ხდება. სწავლების თანამედროვე მეთოდები ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, მოითხოვს მათგან ინიციატივის გამოვლენას და ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. **სასწავლო პროექტი** ერთ-ერთი ასეთი მეთოდია და იგი კონკრეტული სასწავლო პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური გადაჭრისაკენ არის მიმართული.

– აღწერეთ პროექტის (ა)**მოსამზადებელი** და **(ბ)შემაჯამებელი ეტაპებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები,** რომლებიც მეთოდის ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს.
– დაასახელეთ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა სასწავლო პროექტის გამოყენებისას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №22

მაქსიმალური ქულა – 4

სემიოტიკური კომპეტენცია არის ერთი ფორმით მოცემული ინფორმაციის სხვა ფორმაში გადატანის უნარი. მოსწავლეები, რომლებსაც შეუძლიათ სხვადასხვა ფორმით მიღებული ინფორმაციის გააზრება, ინტერპრეტირება და ტრანსფორმაცია, იძენენ სიღრმისეულ ცოდნას, უვითარდებათ მოქნილი აზროვნება და უადვილდებათ საკუთარი პოტენციალის გამოვლენა.

- აღწერეთ ორი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს **სემიოტიკური კომპეტენციის** განვითარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიების ადეკვატურობა სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებისათვის.

ჩაწერეთ:

დავალება №23

მაქსიმალური ქულა – 3

ბიოლოგიის გაკვეთილის თემაა „ვირუსები“. მასწავლებელმა გაკვეთილი ოთხ აზრობრივ ნაწილად (ერთეულად) დაყო:

- რა არის ვირუსი?
- როგორ მრავლდება ვირუსები?
- რა პირობები უწყობს ხელს ვირუსების გამრავლებას?
- რომელი ვირუსული ინფექციებია ცნობილი?

მან ჩამოაყალიბა მოსწავლეთა ოთხი ჯგუფი, მიაწოდა მათ შესაბამისი მასალები, რის შემდეგაც თითოეულმა ჯგუფმა კლასის წინაშე წარმოადგინა ინფორმაცია ერთი აზრობრივი ნაწილის შესახებ. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეებმა მონახეს მიზეზშედეგობრივი კავშირები აზრობრივ ნაწილებს შორის და გაამთლიანეს ინფორმაცია ვირუსების შესახებ. შემდეგ კი განსაზღვრეს ვირუსების გამრავლების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები და წერილობით ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები: „როგორ დავიცვათ თავი ვირუსული ინფექციებისაგან და როგორ შევუშალოთ ხელი მათ გავრცელებას“.

– აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ ჩაწერეთ:

დავალებები №24–28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია მენტორის როლი. ჩვეულებრივ, მენტორი კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგია. დიდწილად მასზეა დამოკიდებული, რა გამოცდილებას შეიძენს ახალბედა მასწავლებელი და როგორი განწყობა ჩამოუყალიბდება საკუთარი პროფესიის მიმართ.

წარმოიდგინეთ, რომ მენტორის ფუნქცია თქვენ დაგეკისრათ. სკოლაში მასწავლებლობის სამი მაძიებელია, რომელთაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღეს და თქვენთან იძენენ გამოცდილებას. **მაძიებლობის პერიოდში** მათ უკვე მოსინჯეს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, კლასის მართვის სტრატეგიები და გამოსცადეს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობის პირველი სირთულეები.

დამწყები მასწავლებლები თქვენ, მენტორ პედაგოგს, ხშირად მოგმართავენ კითხვებით. ახალგაზრდები გულწრფელად, დაუფარავად გიზიარებენ საკუთარ პრობლემებს, გთხოვენ რჩევებს. მაძიებლებისაგან ხშირად იღებთ ელექტრონულ წერილებსაც.

ქვემოთ მოცემულია მაძიებელ მასწავლებელთა ელექტრონული წერილები. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მასში აღწერილი პრობლემის არსი. აღწერეთ, **რა რჩევას მისცემდით მომავალ მასწავლებელს, რა გზით შეიძლება დასმული პრობლემების მოგვარება. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და არგუმენტირებული.**

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ახალბედა პედაგოგს წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

ამონარიდები მენტორის ელექტრონული ფოსტიდან:

დავალება №24 წარუმატებლობის შიში



From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: წარუმატებლობის შიში

როგორც იცით, საკმაოდ ძლიერი მეცხრე კლასი შემხვდა. თუმცა არის კლასში ერთი მოსწავლე, რომელსაც მასალის ათვისება სხვებთან შედარებით უჭირს. ძლიერი კლასის ფონზე მისი სისუსტე კიდევ უფრო აშკარაა. ბოლო დროს გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენებსაც მოუხშირა. მგონი, ამის მიზეზი წარუმატებლობის შიშია. ასე თუ გაგრძელდა, კიდევ უფრო ჩამორჩება. რა შეიძლება გავაკეთო იმისათვის, რომ მოსწავლემ წარუმატებლობის შიში დაძლიოს? რა გზით შეიძლება მივაღწიო ამას?

პატივისცემით

ნინო

დავალება №25

მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ახალი მასალის ახსნისას



From: Teona Eliava [teoeliava@gmail.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ახალი მასალის ახსნისას

გასულ კვირას გაკვეთილის მეორე ნახევარი, ფაქტობრივად, ჩამივარდა. ვერაფრით მოვახერხე ბავშვების ყურადღების მობილიზება და ახალი თემით მათი დაინტერესება. ამის გამო კლასის მართვის მხრივაც შემექმნა პრობლემები და გაკვეთილი ისე დამთავრდა, რომ დაგეგმილი მასალის ნახევარიც კი ვერ ავხსენი. როგორც ჩანს, ბავშვებისთვის რთულია ერთი გაკვეთილის ფარგლებში თემიდან თემაზე ყურადღების გადატანა.

იქნებ მირჩიოთ, რა გზით შეიძლება ბავშვების ჩართულობის შენარჩუნება და მათი ინტერესის გაღვივება ახალ მასალაზე გადასვლისას.

თეონა

დავალება №26 სკოლის პატრიოტიზმი



From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: სკოლის პატრიოტიზმი

ამ ერთი კვირის წინ ჩვენი სკოლა მხიარულ სტარტებში მონაწილეობდა. გული დამწყდა, როცა ვნახე, რომ მოწინააღმდეგე გუნდს გულშემატკივართა გაცილებით დიდი რაოდენობა ახლდა, ვიდრე ჩვენ. ბავშვებს მხარდამჭერი პლაკატები დაემზადებინათ, ერთიანი შეძახილებით ამხნევებდნენ თავიანთ გუნდს. გამაოცა ჩვენი მოსწავლეების გულგრილობამ, თითქოს სხვა სკოლის გუნდის თამაშს უყურებდნენ. ნუთუ „სკოლის პატრიოტიზმი“ მათთვის უცხოა? არ გიფიქრიათ, რომ ამ კუთხით ჩვენს სკოლაშიც რაღაც უნდა გაკეთდეს?

როგორ, რა გზით ხდება სკოლის მიმართ პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივება? მგონია, ჩვენს სკოლას ეს ძალიან სჭირდება.

წინასწარ დიდი მადლობა.

თამარი

დავალება №27 ნიჭიერი ბავშვის ურთიერთობა თანატოლებთან.



From: Teona Eliava [teoeliava@gmail.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: ნიჭიერი ბავშვის ურთიერთობა თანატოლებთან

ივა კლასში ყველასაგან გამოირჩევა თავისი ნიჭიერებით. შეკითხვა არ დამიმთავრებია და პასუხი უკვე მზადა აქვს. თანაც პასუხიც არის და პასუხიც. ყველასაგან განსხვავებულად აზროვნებს, ისეთ დეტალებს შეამჩნევს, ისეთ სიღრმეებში მიდის, რომ დანარჩენები დაბნეულები უსმენენ. ამ ბოლო დროს აშკარად ვამჩნევ, რომ კლასელებთან ურთიერთობები დაეძაბა. ირონიული ტონით „ტვინიკოსს“ ეძახიან, სახელით აღარც მიმართავენ, საერთოდაც აღარავის უნდა მასთან ურთიერთობა. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.

პატივისცემით

თეონა

დავალება №28 ურთიერთობა მშობლებთან



From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: ურთიერთობა მშობლებთან

ამ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად ჩემთვის მშობლებთან ურთიერთობა რჩება. როგორც ჩანს, ჩემი ასაკისა და გამოუცდელობის გამო მათთან სათანადო ავტორიტეტით არ ვსარგებლობ. პატივმოყვარეობა კი არ მალაპარაკებს, უბრალოდ ვგრძნობ, რომ ისინი არასაკმარისად სერიოზულად მეკიდებიან, ზოგიერთი თავსაც კი არ იწუხებს სკოლაში მოსვლით. კარგად მესმის, რომ მშობლების ნდობისა და მათ თვალში ავტორიტეტის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, მაგრამ ამასობაში ხომ ბევრი რამ გაუკეთებელი რჩება.

იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვახერხო მშობელთა ნდობის მოპოვება და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა?

პატივისცემით

თამარი

ყოველი დავალებისათვის (№24-28) განკუთვნილ არეში **აღწერეთ მასწავლებლის ერთი *კონკრეტული* აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც იქნება ახალბედა მასწავლებლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. **დაასაბუთეთ,** თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №24

დავალება №25

დავალება №26

დავალება № 27

დავალება №28

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №29

გიორგიმ მასწავლებლის მიერ მიცემული ამოცანა, სირთულის მიუხედავად, დამოუკიდებლად ამოხსნა.

ვიგოტსკის მიხედვით, მასწავლებლის რომელი ქმედებაა მართებული **გიორგის კოგნიტური განვითარების ხელშესაწყობად**?

ა) **მასწავლებელმა გიორგის** იმავე სირთულის დავალებები უნდა მისცეს სახლში შესასრულებლად.
ბ) **მასწავლებელმა გიორგის** უფრო რთული დავალებები უნდა მისცეს, მინიშნებებითა და დამაზუსტებელი კითხვებით დაეხმაროს ამოხსნაში.
გ) **მასწავლებელმა გიორგის** იმავე სირთულის დავალები უნდა მისცეს, შემდეგ კი დავალებები ეტაპობრივად გაართულოს.
დ) **მასწავლებელმა გიორგის** იმავე სირთულის დავალებები უნდა მისცეს, მინიშნებებითა და დამაზუსტებელი კითხვებით დაეხმაროს ამოხსნაში.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ №30

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დასწავლის სტილით, მიდრეკილებებითა და უნარებით. ამ განსხვავების საფუძველზე გარდნერი გამოყოფს ინტელექტის ტიპებს. მისი თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში უფრო ადვილია, როდესაც დავალებები და აქტივობები მათი ინტელექტის ტიპებს შეესაბამება.

გაეცანით სიტუაციას:

მხატვრული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეები მცირე ჯგუფებად დაყო, დაავალა მათთვის სასურველი სცენის შერჩევა და მისი უსიტყვოდ, პანტომიმის სახით წარმოდგენა.

გარდნერის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ინტელექტის მქონე მოსწავლეს გაუადვილდება სცენის უსიტყვოდ წარმოდგენა?

ა) ლინგვისტური
ბ) ინტერპერსონალური
გ) კინესთეტიკური
დ) ინტრაპერსონალური

დავალება №31

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, მოცემული სქემებიდან რომელი ასახავს ყველაზე ზუსტად აზროვნების საფეხურებს შორის არსებულ მიმართებას?



ა) I სქემა
ბ) II სქემა
გ) III სქემა
დ) IV სქემა

დავალება №32

პერკინსის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებები შეუწყობს ხელს **მოსწავლის მიერ მასალის გაგებას**?

I. მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეების მიერ შინაარსის დასწავლასა და თეორიული ცოდნის შეძენაზე, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეს მასალის არსში წვდომა.

II. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს უკუკავშირი, გააცნოს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ისინი თვითონ შეაფასებენ, რამდენად აითვისეს მასალა და დასახავენ შედეგების გაუმჯობესების გზებს.

III. მასწავლებელმა უნდა დაანახვოს მოსწავლეებს საგანთა შორის არსებული კავშირები, შექმნას ცოდნის ტრანსფერისთვის ხელსაყრელი პირობები, რათა მათ შეძლონ ნასწავლის სხვა სიტუაციაში გამოყენება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №33

კოლბერგის თეორიის მიხედვით, მოცემული მაგალითებიდან რომელი შეესაბამება მორალური განვითარების *ყველაზე დაბალ დონეს*?

ა) მოსწავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კლასში პოპულარული იყოს, ამიტომ ის არასოდეს უფიქრდება საკუთარი ქცევის შედეგებს, მთავარია, მისმა ქცევამ მეგობრების მოწონება დაიმსახუროს.

ბ) მოსწავლე თავად ცუდად არასოდეს იქცევა და მასწავლებლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მზად არის, თანაკლასელებსაც შეეწინააღმდეგოს; არასოდეს აჰყვება უდისციპლინობაში და მათაც წესიერებისკენ მოუწოდებს.

გ) მოსწავლე ფიქრობს: თუ დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ არავის დაუნახავს, მაშინ მისი საქციელი არც ისე ცუდია. მაგრამ თუკი დანაშაულზე „გამოიჭირეს“ და კიდეც დასაჯეს, მაშინ საქციელი ცუდია.

დ) მოსწავლეს მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, ყოველთვის დაემორჩილოს წესებს, რადგან ადამიანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქცეოდეს სიტუაციიდან და ზნეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე.

დავალება №34

ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელშია მართებულად წარმოდგენილი **მონტესორის** შეხედულება სასწავლო პროცესში მასწავლებლის როლის შესახებ?

ა) ბავშვებს აქვთ ბუნებრივი სწრაფვა ახლის სწავლისა და გარემოს შემეცნებისადმი, ამიტომ მასწავლებლმა უნდა შექმნას ისეთი საკლასო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს ბავშვის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას.

ბ) ბავშვები თავისთავად ზარმაცები და ცელქები არიან, მათი სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ქცევითი პრობლემების პრევენციისათვის მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მათ სწორად მოქცევის წესები და ამ პროცესში ჩართოს მშობლები.

გ) ბავშვებს სუსტი ნებისყოფა აქვთ, უჭირთ ყურადღების კონცენტრირება, ამიტომ მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ასაკისა და ინტერესების შესაბამისი მასალითა და განმავითარებელი თამაშებით მიიზიდავს მოსწავლეთა ყურადღებას.

დ) ბავშვის ინტერესები და სწავლისადმი დამოკიდებულება სოციალური გარემოს ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. მასწავლებლის დანიშნულებაა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მოსწავლეს სასურველი მიმართულებით განავითარებს.

დავალება №35

ჩამოთვლილთაგან რომელი მაგალითი ასახავს *ყველაზე ზუსტად* „**პრემაკის პრინციპის**“ **გამოყენებას?**

ა) მასწავლებელი მიმართავს ცელქ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს გაკვეთილზე საკუთარი ქცევის მართვა: „წესიერად თუ არ მოიქცევი, შენს მშობლებს დავიბარებ სკოლაში!“

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს საჯაროდ ეუბნება: „ასე თუ გააგძელებთ სწავლას, საატესტატო გამოცდას ვერ ჩააბარებთ.“

გ) მასწავლებელი მიმართავს პირველკლასელ მოსწავლეებს: „ჯერ დაალაგეთ თქვენი მაგიდები და შემდეგ გაგიშვებთ ეზოში სათამაშოდ.“

დ) კლასის დამრიგებელი ეუბნება დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს: „თუ სისტემატურად შეასრულებ საშინაო დავალებას, შემდეგ კვირაში კლასში მორიგეობისაგან გაგათავისუფლებ.“

დავალება №36

როჯერსის ჰუმანისტური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა „თვითაქტუალიზაციის ტენდენცია“, რომელიც ასახავს ადამიანის სწრაფვას განვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენისკენ.

როჯერსის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელია **ნაკლებად ეფექტიანი** მოსწავლის თვითაქტუალიზაციისათვის?

ა) **გაგება** – უფროსს უნდა შეეძლოს მოზარდის თვალით შეხედოს სამყაროს. ემპათიურ გარემოში მოზარდი თავს კომფორტულად და უსაფრთხოდ გრძნობს.

ბ) **უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება** – მოზარდი საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენს, როცა გრძნობს მხარდაჭერას, დადებით დამოკიდებულებას მის მიმართ.

გ) **შეგონება** – უფროსი ყოველთვის უნდა რეაგირებდეს მოსწავლის ქცევებზე და აძლევდეს საჭირო დარიგებებს, რომ ბავშვის განვითარება სწორი მიმართულებით წარმართოს.

დ) **გულწრფელობა** – მოზარდი მაქსიმალურად გახსნილი და გულწრფელია უფროსის მიმართ, როცა გრძნობს უფროსის ანალოგიურ დამოკიდებულებას მის მიმართ.

დავალება №37

მოსწავლე მაღალი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევა, მაგრამ ძალიან მონდომებული და მოწესრიგებულია, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გაკვეთილი ყოველთვის მზად აქვს. ახლაც საშინაო დავალება მოამზადა, თუმცა ბევრი შეცდომა დაუშვა.

ბიჰევიორისტული თეორიის თანახმად, მასწავლებლის რომელი უკუკავშირი ჩაითვლება მოსწავლის *მონდომების დადებით განმტკიცებად*?

ა) მასწავლებელი მიუთითებს შეცდომებზე და ეუბნება, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მისაღწევად მეტი მონდომებაა საჭირო.

ბ) მასწავლებელი განუმარტავს, რა შეცდომები აქვს მოსწავლეს და უწერს შესაბამის შეფასებას.

გ) მასწავლებელი აღნიშნავს შესრულებული სამუშაოს დადებით მხარეებს და აქებს გაწეული ძალისხმევისთვის.

დ) მასწავლებელი კომენტარის გარეშე აფასებს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას.

652038

დავალება №38

მასწავლებელმა პირველკლასელ მარის მათემატიკის ერთ-ერთი საკითხის ახსნისას სხვადასხვა სიგრძის ჩხირები მისცა და სთხოვა მათი დაწყობა სიგრძის ზრდის მიხედვით.

პიაჟეს თეორიის მიხედვით, ბავშვის რომელი უნარის გამოვლენა სურს ამ გზით მასწავლებელს?

ა) კონსერვაციის უნარის
ბ) ტრანზიტულობის უნარის
გ) სერიაციის უნარის
დ) შექცევადობის უნარის

დავალება №39

ქვემოთ მოცემული მსჯელობებიდან რომელი **არ შეესაბამება** კონსტრუქტივისტულ მიდგომას?

ა) მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებელმა სასწავლო მასალა თავდაპირველად უნდა წარმოადგინოს როგორც ერთი მთლიანი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გააანალიზონ მოსწავლეებმა მისი შემადგენელი ნაწილები.

ბ) მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებლის როლი უნდა შემოიფარგლოს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნით, რომელშიც მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ ცოდნის „აღმოჩენას“.

გ) მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, მაქსიმალურად ზუსტად მიჰყვეს წინასწარ შემუშავებულ სასწავლო გეგმას და კონკრეტული საკითხისთვის განსაზღვრულ მასალას.

დ) მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაუთმოს შეფასებას. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მან უპირატესობა უნდა მიანიჭოს შეფასების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა პორტფოლიო და დაკვირვება.

დავალება №40

მესამე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა ზედსართავი სახელი აუხსნა და სავარჯიშოც მისცა: ტექსტში უნდა მოეძებნათ და გაეხაზათ ზედსართავი სახელები. მოსწავლეები დავალებას ასრულებდნენ, თუმცა უხალისოდ. მაშინ მასწავლებელმა მათ თამაში „რომელია ზედმეტი?“ შესთავაზა. ის უსახელებდა ოთხ სიტყვას, რომელთაგან სამი ზედსართავი სახელი იყო და ერთი – მეტყველების სხვა ნაწილი (ზმნა, არსებითი, რიცხვითი ან ნაცვალსახელი). მოსწავლეებს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოეცნოთ, რომელი იყო დასახელებულ ოთხ სიტყვაში ზედმეტი. კლასი გამოცოცხლდა, ყველა ხალისით ჩაერთო თამაშში და ახსნილი მასალაც უკეთ გაიგეს.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია უზნაძის თეორიაზე დაყრდნობით. ახსენით, რატომ აღმოჩნდა შედეგიანი მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **დაასახელეთ,** ქცევის რომელ ფორმას მიეკუთვნება თამაში და **განმარტეთ** მისი არსი.
- **ახსენით,** რატომ მიიჩნევს უზნაძე თამაშს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად; რატომ აღმოჩნდა შედეგიანი თამაშით სწავლა.

****იმ შემთხვევაში, თუ უზნაძის თეორიას არ იცნობთ, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.***

✍ ჩაწერეთ:

ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ სიტუაციებს და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ამ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.**

დავალებები №41– 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა

სასწავლო წლის ბოლოს დირექტორმა შემაჯამებელი თათბირი მოიწვია. მან ისაუბრა სასწავლო წლის შედეგებზე და გააცნო მასწავლებლებს რამდენიმე სიახლე, რომელთა დანერგვაც სურდა.

ამ სიახლეთა შორის ერთ-ერთი იყო მოსწავლეების მიღების პოლიტიკის გამკაცრება. დირექტორმა აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა მიღება ყველა კლასში მხოლოდ სპეციალური ტესტირების საფუძველზე მოხდებოდა. მისი განმარტებით, ეს დაეხმარებოდა სკოლას მაღალი აკადემიური მიღწევების შენარჩუნებაში, მოსწავლეთა მიღებისას სუბიექტურობისა და ტენდენციურობის გამორიცხვაში. დირექტორის გადაწყვეტილებით მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ კლასში შეიზღუდებოდა და ახალი სასწავლო წლიდან კლასში მათი რიცხვი არაუმეტეს 15 მოსწავლით განისაზღვრებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა დადგენილს გადააჭარბებდა, გაიხსნებოდა პარალელური კლასები იმ რაოდენობით, რის შესაძლებლობასაც მისცემდა სკოლას არსებული ბიუჯეტი.

მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით დირექტორმა აგრეთვე გადაწყვიტა ძირითად საგნებში მოსწავლეების გადანაწილება „ძლიერ“ და „სუსტ“ კლასებში. თუ სუსტი მოსწავლეები გაძლიერებული სწავლების პირობებშიც ვერ შეძლებენ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, დატოვებენ სკოლას დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობის მიზეზით.

კიდევ ერთი სიახლე სკოლაში შეფასების ახალი სისტემის დანერგვას ეხებოდა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შეფასებები განისაზღვრებოდა შუალედური და შემაჯამებელი შეფასებებისა და დისციპლინის გათვალისწინებით.

41. დირექტორს კანონით ფართო ავტონომია აქვს მინიჭებული, რომლის ფარგლებშიც დასაშვებია სკოლაში მოსწავლეთა მიღების სპეციფიკური პირობების/მოთხოვნების (მაგ., მისაღები გამოცდების) დაწესება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

42. დირექტორის გადაწყვეტილება კლასების დაკომპლექტების შესახებ კანონიერია, ვინაიდან, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, პარალელური კლასების არსებობა დასაშვებია, თუ თითოეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა არის 15.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

43. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლას არ აქვს უფლება დაითხოვოს დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები დაბალი აკადემიური მოსწრების გამო.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

44. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დაუშვებელია მოსწავლეთა განაწილება სხვადასხვა კლასში ყველა საგანში მათი აკადემიური მოსწრების თუ შესაძლებლობების მიხედვით, შესაბამისად, დირექტორის მიერ შემოთავაზებული ეს სიახლე უკანონოა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

45. დირექტორის მიერ შემოთავაზებული ახალი შეფასების სისტემა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებას მრავალ ფაქტორზე (მათ შორის დისციპლინაზე) დაყრდნობით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დავალებები №46– 50 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

„მე-9 კლასის ქართულის მასწავლებელი ბოლო დროს ამჩნევს, რომ ერთ-ერთი მოსწავლე ხშირად აგვიანებს გაკვეთილზე, სისტემატურად არეული და დაბნეულია. რამდენჯერმე თვალთან სილურჯეც შენიშნა. მასწავლებელს ეჭვი გაუჩნდა, ხომ არ არის მოსწავლე რაიმე ზეგავლენის ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. მასწავლებლის ეჭვი კიდევ უფრო განამტკიცა საკლასო წერის დროს შესრულებულმა მოსწავლის ნაშრომმა. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე არ მიუთითებდა კონკრეტულ ფაქტებზე, მასწავლებელი მიხვდა – მას ოჯახში ისეთი პრობლემები აქვს, რომელსაც ბოლომდე ვერ ამბობს. პედაგოგმა გადაწყვიტა შეემოწმებინა, ხომ არ არის მოსწავლე ძალადობის მსხვერპლი, დაიბარა იგი და შეეცადა გამოეკითხა ოჯახში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოზარდმა ბევრ კითხვაზე პასუხს თავი აარიდა. მოსწავლის მდგომარეობით შეშფოთებულმა მასწავლებელმა სკოლის დირექციასთან შეთანხმებით მოიწვია სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა. საბჭოზე გამოითქვა სხვადასხვა ვარაუდი მშობლების მხრიდან ძალადობის შესახებ და მოზარდის უსაფრთხოების მიზნით გადაწყვიტეს მოეწვიათ მშობლები სკოლის ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე. ამასთან, მოსწავლეს უნდა გაევლო ნარკოლოგიური შემოწმება. მშობლებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და უარი განაცხადეს სკოლის დახმარებაზე. ამასთან, აუკრძალეს შვილს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა. წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციისათვის თავის არიდების მიზნით, მოსწავლე სკოლიდან დაითხოვეს.“

46. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მასწავლებელს მოსწავლის დახმარების მიზნით უფლება აქვს გაარკვიოს მის მიმართ ძალადობის ფაქტის არსებობის თაობაზე და აიძულოს მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

47. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მასწავლებელს უფლება აქვს მოიწვიოს სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

48. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაუშვებელია საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

49. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის ხელმისაწვდომობა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

50. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლას უფლება აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍